GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

22 Ocak / იანვარი 2024

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 736.4	6 676.3	10.4%	17.3 %	0.4%

Gürcistan Başbakanı Koç Holding İcra Kurulu Başkanı ile Bir Araya Geldi

საქართველოს პრემიერ-მინისტრი Koç Holding-ის აღმასრულებელ თავმჯდომარეს შეხვდა

Gürcistan Başbakanı Irakli Garibashvili Davos'ta yer alan Dünya Ekonomik Forumu ziyareti kapsamında ilk görüşmesini Koç Holding İcra Kurulu Başkanı Levent Çakıroğlu ile yapmıştır.

Toplantıda Koç Holding'in Gürcistan'daki faaliyetlerinin ana yönleri görüşüldü, ayrıca yeni proje ve sektörlerde işbirliğinin geliştirilmesinin fırsatları ele alındı.

Taraflar ülkedeki pozitif ekonomik gidişatı değerlendirdi.

Başbakan'ın vurguladığı gibi, Hükümetin sağduyulu ekonomik politikası neticesinde Gürcistan son yıllarda yüksek ekonomik büyümeye imza atmıştır.

Dinamik olarak gelişen ve avantajlı vergi sisteminden yararlanan bilişim sektörü de dahil olmak üzere Gürcistan'ın yatırımcılar için birçok yönden cazip bir ülke olduğunu belirtildi.

Bunun dışında turizm sektöründeki işbirliğine ilişkin konulara da değindi.

Gürcistan Başbakanı bu doğrultuda da ülkenin büyük bir potansiyelinin altını çizerek, Hükümetin izlediği potikasının bir sonucu olarak son yıllarda turizm gelirlerinin önemli ölçüde arttığına dikkat çekti. Taraflar ileride işbirliğini sürdürme konusunda anlaştı.

Dünyanın en değerli 500 şirket arasında yer alan Koç Holding en büyük Türk şirketlerinden biridir. Şirket Türkiye pazarında küresel bir oyuncu olarak enerji, otomobil ve finans sektörlerinde rekabet avantajlarıyla lider konumdadır.

Koç Holding'in 60'ı aşkın ülkede üretim tesisleri vardır, ABD; Büyük Britanya; İspanya; Macaristan; Almanya; Polonya; Mısır; Fransa; İtalya; Romanya; Avustralya; Çin vb. 150'den daha fazla ülkeye ihracat yapmaktadır.

105,000 kişiyi istihdam eden şirketin geliri 34,97 milyar dolar.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI თბილისი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Koç Group'un Gürcistan'da birkaç oteli bulunmaktadır.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა დავოსში ვიზიტის ფარგლებში პირველი შეხვედრა კომპანია Koç Holding-ის აღმასრულებელ თავმჯდომარესთან - ლევენთ ჩაკიროღლუსთან გამართა.

განსახილველ საკითხებს შორის იყო საქართველოში კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, ასევე - ახალ პროექტებსა და სფეროებში თანამშრომლობის გაფართოების პერსპექტივები.

მხარეებმა ქვეყანაში მიმდინარე დადებითი ეკონომიკური ტენდენციები მიმოიხილეს.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ბოლო წლებში საქართველოს მაღალი ეკონომიკური ზრდა აქვს, რაც მთავრობის სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია.

აღინიშნა, რომ ინვესტორებისთვის საქართველო არაერთი მიმართულებით არის ხელსაყრელი, მათ შორის IT სექტორში ქვეყანას აქვს ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი საგადასახადო პირობები და დინამიკურად ვითარდება.

მხარეებმა ასევე იმსჯელეს ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის საკითხებზე.

პრემიერ-მინისტრმა ამ მიმართულებით ქვეყნის დიდ პოტენციალს გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ მთავრობის პოლიტიკის შედეგად ბოლო წლებში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი პირდაპირი შემოსავალი ტურიზმიდან. მხარეები სამომავლოდ თანამშრომლობის გაგრძელებაზე შეთანხმდნენ.

Koç Holding-ი არის უმსხვილესი თურქული კომპანია, რომელიც მსოფლიოს უმდიდრეს 500 კომპანიას შორისაა. ის თურქეთის ბაზრის გლობალური მოთამაშეა.

მას აქვს წამყვანი პოზიციები კონკურენტუნარიანი უპირატესობებით ენერგეტიკაში, საავტომობილო და ფინანსურ სექტორებში.

კომპანიას საწარმოო ობიექტები აქვს 60-ზე მეტ ქვეყანაში, ექსპორტს ახორციელებს 150 -ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის - ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, უნგრეთში, გერმანიაში, პოლონეთში, ეგვიპტეში, საფრანგეთში, იტალიაში, რუმინეთში, ავსტრალიაში, ჩინეთში და ა.შ.

კომპანიაში დასაქმებულია 105,000 ადამიანი და მისი შემოსავალი 34,97 მილიარდ დოლარს შეადგენს.

საქართველოში Koç Group-ი რამდენიმე სასტუმროს ფლობს.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI TBC BANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Euro Bölgesinde Enflasyon Yüzde 2,9'a Çıktı
ევროზონაში ინფლაცია 2,9%-მდე გაიზარდა

Avrupa İstatistik Ofisi (Eurostat), Avro Bölgesi ve Avrupa Birliği'nin (AB) aralık ayı enflasyon verilerini yayımladı.

Verilere göre, Avro Bölgesinde kasımda yüzde 2,4 olan yıllık enflasyon aralıkta yüzde 2,9'a ulaştı. Tüketici Fiyat Endeksi, aralıkta aylık bazda yüzde 0,2 arttı.

AB'de de kasımda yüzde 3,1 olan yıllık enflasyon, aralıkta yüzde 3,4'e çıktı. AB'de TÜFE, aralıkta aylık bazda ise yüzde 0,1 arttı.

Avro Bölgesinde enflasyonun ana bileşenlerine bakıldığında, en yüksek yıllık enflasyon yüzde 1,74 ile hizmetlerde gerçekleşti. Hizmetleri, yüzde 1,21 ile gıda, alkol ve tütün ürünleri, yüzde 0,66 ile enerji dışı sanayi ürünleri izlerken, enerji ürünleri yüzde 0,68 geriledi.

AB uyumlu verilere göre enflasyon aralıkta Çekya'da yüzde 7,6; Romanya'da yüzde 7; Slovakya'da yüzde 6,6; Polonya'da yüzde 6,2; Avusturya'da yüzde 5,7; Macaristan'da yüzde 5,5; Hırvatistan'da yüzde 5,4; Bulgaristan'da yüzde 5; Fransa'da yüzde 4,1; Almanya'da yüzde 3,8 ve İspanya'da yüzde 3,3 olarak belirlendi.

ევროპის სტატისტიკის სამსახურმა (Eurostat) გამოაქვეყნა დეკემბრის თვის ინფლაციის მაჩვენებლები ევროზონისა და ევროკავშირის ქვეყნებისათვის.

მონაცემების მიხედვით, წლიური ინფლაცია ევროზონაში დეკემბერში 2,9%-მდე გაიზარდა, მაშინ, როდესაც ნოემბერში წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 2,4%-ს შეადგენდა. დეკემბერში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა კი 0,2%-იანი ზრდა აჩვენა.

ხოლო ევროკავშირში წლიური ინფლაციის მაჩვენებელი ნოემბერში 3,1%-ს უტოლდებოდა, დეკემბერში 3,4%-მდე გაიზარდა.

ევროზონაში ყველაზე მაღალი წლიური ინფლაციის დონე +1,74%-იანი მაჩვენებლით მომსახურებაზე მოდის. მომსახურებას მოსდევს სურსათი, ალკოჰოლი და თამბაქო (+1,21%); არაენერგეტიკული სამრეწველო საქონელი (+0,66%) და ენერგია (-0,68%).

ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, დეკემბერში ჩეხეთში ინფლაციამ 7,6%; რუმინეთში 7%; სლოვაკეთში 6,6%; პოლონეთში 6,2%; ავსტრიაში 5,7%; უნგრეთში 5,5%; ხორვატიაში 5,4%; ბულგარეთში 5%; საფრანგეთში 4,1%; გერმანიაში 3,8%; ესპანეთში კი 3,3% შეადგინა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI ეროვნული ბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Gürcistan'ın Dış Borcu

საქართველოს საგარეო ვალი

Son bir yılda Gürcistan'ın dış borç stoku 562,149 milyon dolar artış gösterdi.

Maliye Bakanlığı, Gürcistan'ın dış borç stokunun 2023'ün aralık itibarıyla 8.907 milyar dolar, dolaysıyla bugünkü kurla 23.956 milyar lari olduğunu duyurdu.

2022'nin aralık ayında borç 8.345 milyar dolar, o zamanki kurla 22.549 milyar lari olarak kayıtlara geçmiştir.

Aralık 2023 itibarıyla, Gürcistan'ın en büyük alacaklılar arasında Asya Kalkınma Bankası (ADB), Avrupa Yatırım Bankası (EIB) ve Uluslararası İmar ve Kalkınma Bankası (IBRD) yer almaktadırlar.

Avrupa Yatırım Bankası'na 1.143 milyar, Uluslararası İmar ve Kalkınma Bankası'na 1.525 milyar, Asya Kalkınma Bankası'na karşı olan dış borç ise 2.281 milyar doların üzerindedir.

ერთ წელიწადში საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი 562,149 მლნ დოლარით გაიზარდა.

ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალმა 8.907 მლრდ დოლარს, დღევანდელი კურსით 23.956 მლრდ ლარს გადააჭარბა.

2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით კი, ვალის მოცულობა 8.345 მლრდ დოლარი ანუ მაშინდელი კურსით 22.549 მლრდ ლარი იყო.

ამასთან, 2023 წლის დეკემბრის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფოს ყველაზე მსხვილი კრედიტორები არიან: აზიის განვითარების ბანკი (ADB), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD).

კერძოდ, EIB -ს მიმართ ვალი - 1.143 მლრდ დოლარს; IBRD-ის მიმართ სახელმწიფოს საგარეო ვალი - 1.525 მლრდ დოლარს, აზიის განვითარების ბანკის (ADB)-ის მიმართ კი - 2.281 მლრდ დოლარს აჭარბებს.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI საქართველოს ბანკი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Mandalina İhracatı

მანდარინის ექსპორტი

Gürcistan'dan ihraç edilen mandalina miktarı geçen senenin aynı dönemine göre 21.4 bin ton arttı.

Gürcistan'dan 01 Eylül 2023-16 Ocak 2024 arasında değeri 23.4 milyon dolara ulaşan 36.2 bin ton mandalina ihracatı gerçekleştirildi.
Geçen senenin aynı dönemine göre ihraç edilen mandalina miktarı 21.4 bin ton arttı (%144), fiyatı ise 15.1 milyon dolara (%183) çıktı.
İhracat yapıldığı ülkeler Ukrayna, Belarusya, Kazakistan, Rusya, Ermenistan ve Azerbaycan oldu.

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოდან ექსპორტირებული მანდარინის მოცულობა 21.4 ათასი ტონით გაიზარდა.
2023 წლის 1 სექტემბრიდან 2024 წლის 16 იანვრის ჩათვლით, საქართველოდან 36.2 ათასი ტონა მანდარინის ექსპორტი განხორციელდა, რომლის ღირებულებამ 23.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტირებული მანდარინის მოცულობა 21.4 ათასი ტონით (144%), ხოლო ღირებულება - 15.1 მლნ აშშ დოლარით (183%) გაიზარდა.
საექსპორტო ქვეყნებია: უკრაინა, ბელორუსი, ყაზახეთი, რუსეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი.

Gürcistan'da Yüksek Hızlı İnternet Avrupa Ülkelerine Göre %136 Daha Pahalı

საქართველოში მაღალი სიჩქარის ინტერნეტი 136%-ით ძვირია, ვიდრე ევროპის ქვეყნებში

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲘᲨᲑᲐᲜᲘ · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bank

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.6576 **TRY/GEL** – 0.0882 **EUR/GEL** – 2.8941 **GBP/GEL** – 3.3704

USD/GEL

15 – 22 Ocak 2024

USD/TR

15 – 22 Ocak 2024

TRY/GEL

15 - 22 Ocak 2024

BTC – 1 BTC = 40,947,35 USD

15 - 22 Ocak 2024

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI თიბისი ᲘᲨᲑᲐᲜᲚᲘ MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank